

სახალხო ფურცელი

საქართველოს
გაზეთი № 396

ლაგაბის № 71

კვირა, 4 თებერვალი 1915 წ.

კვირა, 4 თებერვალი 1915 წ.



სევდა

ცხოვრების აღერს, გულის გაზაფხულს,
ნადიმის სიტკბოს, ტურფავ, განიცილი...
ვერ მამჩნევ გზაზედ მძიმედ დათალხულს;
მზე გიწვევს თვისკენ... და შენც არ იციდი...
ყვავილთ ყვავილო, შენ გიკმევინ
ნარდი, ზამბახი, მხურვალე ვარდი,
სიმღერ-ფერადნი გარს გეხვევიან,
წვირილ მანდილს გხურავს ცისა ლაქვარდი.
ისწრაფე, ტურფავ, სანამ დრო არი!
შესვი ბოლომდინ ტკბილი ნექტარი,
თორემ მოგასწრობს მალე ავდარი,
გაგამირავს ბედის მკრედი ნესტარი!...
ფრთებ დაშვებული, დამწვარ-დაგული,
როს დაეცევი იმედის გემთან,
მოტყუებული, გზა დაკარგული,
დაბრუნდი უკან და მოდი ჩემთან!...
მეც გულზე მაძევს მძიმე რამ ლოდი,
წუთით მეც ვიყავ ცხოვრების ღვერთად!...
სულის თვისტომო, მაშ ჩემთან მოდი—
ვისევდიანოთ ორივემ ერთად!..

ოცნების ფრთებით მალა სრიალებ —
მებრძოლის სულით მთლად გამსკვალული,
ბობოქრობ, შფოთავ, ჰნათობ, ჰციალებ,

გსურს მოურჩინო ქვეყანას წყლული!
ბრბო აღტაცებით, შმაგად ტაშს გიკრავს.
გვირგვინებს გიწნავს, გაქებს, გაღმერთებს,
ჰიმნს სადიდებელს გიგალობს, გიკრავს,
ოქროს ვარაყით გიკაზმავს შენ ფრთებს...
ფრთხილად! დიდების მწვერვალზედ ცივა!
ესოდენ მალა, ტურფავ, ნუ ახვალ:
ბრბო ზურგს შეგაქცევს, ფრთები დაგცივია,
მეფე ხარ დღესა და ხვალ კი... და ხვალ?!...
და როს გიმუხთლებს ბედი შავ-კრული,
როს მიმავალსა დიდების გემთან
გზას გადაგიჭრს ბნელი უფსკრული —
დაბრუნდი, ტურფავ, დაბრუნდი ჩემთან!
ცეცხლის გრძობათა გზად მეც ვიდოდი,
ერთ დროს მეც ვიყავ... სულელ ბრბოს ღმერთად!
სულის თვისტომო, მაშ ჩემთან მოდი
ვისევდიანოთ ორივემ ერთად!..
გიყვარს ძლიერად... ქნარად ქცეული
გული გამოსცემს საამურ ელერას,
შენი ბულბული, ხმებად ფრქვეული,
გიგალობს უცხოს, ციურ სიმღერას.
გიყვარს უზომოდ... სული ნარნარი
ზეცას ეწვევა... ამაყს, ბედნიერს,
დედა-ბუნება პირმოცინარი
დაგხარის ასულს სპეტაკ-მშვენიერს.
მიჯნურის გარე, იმის იქითა,

არარას ხედავ და არარას ჰგრძნობ...
ვსთხოვ ცას მხურვალედ, მუხლმოდრეკითა,
რაც ვცანი, ტურფავ, შენ იმას ნუ სცნობ!..
თუ დაგობნელდა იმედის დილა
უტკბეს განცდათა აუვალ თხემთან,
ლალატმა გული თუ დაგიორთვილა,
სულის თვისტომო, ისწრაფე, ჩემთან!..
მეც სიყვარული მიმანდა წინად
ცისა და ქვეყნის რამ შემაერთად...
მოდი ჩემს გულში, იქ დადეგ ბინად —
ვისევდიანოთ ორივემ ერთად!..
ბევრი ვიტანჯე და ვივალაღე...
სევდასა ვეტრფი ვით მშობელ დედას!
მო, ჩემთან, ჩემო, შენ გენაცვალე,
მე გაგიქარებ სევდითა სევდას!..
ხელი მომხვიე... მშვენიერ თავით
დამეყრდნე მკერდზედ სრულის ნდობითა,
ოჰ, არ დაგჩრდილავ განზრახვით ავით,
ოჰ, არ შეგბღალავ ქვენა გრძობითა!
შევუღლდეო, ტურფავ, ტანჯვითა სწორნი,
შევუღლდეო სევდით სულთ გასაგებად,
უცრემლ-უსიტყვოდ, ამაყად, ორნი
ჩვენ ვიქცეთ სევდის ერთ ქანდაკებად!..
კ. მაყაშვილი.

უკანასკნელი წერილი

ესკიზი.

„... გამხნევიდი, იმედი არ დაჰკარგო ჩემო მელანო; ჯერჯერო-
ბით კარგათა ვარ და ვფიქრობ, ღვთის წყალობით, ცოცხალი და-
ბრუნდები სახლში... აბა შენ იცი, რა ტკბილად და მამაშვილურად
მოეპყრობი ჩემს მოხუც, სიბერის ეამს ტანჯულ მამას... დარწმუნე-
ბული ვარ, თვალის ჩინივით გაუფრთხილდები ჩვენ მარჩენელ „თაფ-
ლასა“ და „ბროლიას“, არ დამიჩაგრო, მტეოს არ დააბრკელებინო
ჩემი პატარვ ბიჭიკოც!..“

ასე ბოლოვდებოდა მიხას უკანასკნელი წერილი ცოლისადმი
ბრძოლის ველიდან მონაწერი. ექვს თვეზე მეტა იყო გასული, რაც
აღარა ისმოდარა მიხასი—ცოცხალია თუ მკვდარი; ვის არ შესტირა
უბედურმა მელანიამ, ვის არ გააგზავნინა წერილი მიხას პოლკში
თანამოსამსახურე ანხნაგ—მეზობლებთან, პოლკის უფროსთან, მაგ-
რამ ნამდვილი ვერა გაიგო—რა ქმრსა.

ერთმა მოსწერა: „ტყვედ წაიყვანესო“, მეორემ: „ფეხში დასჭრეს
და საავადმყოფოში გაგზავნეს მოსარჩენადო“, ზოგი რას სწერდა და
ზოგი რას.

მამასახლისთანაც იყო, სამხედრო საკრებულოსაც მიაკითხა, იქ-
ნება მითხრან რამე სანუგეშოვო,—ასე ასწავლეს გამოცდილებმა,—
მაგრამ სანუგეშო და სასიხარულო ვერავინ უთხრა: ყველგან და ყვე-
ლასაგან ერთი და იგივე პასუხი ისმოდა: „არა ვიცით—რა“...

ახალგაზდა და ჯანღონით სავსე მელანიას თვალებს დაეკარ-
გათ სიცოცხლის ნიშან-წყალი, გახდა, გაყვითლდა, ყბები ჩაუცივდა
და სულ რაღაც პატარა ხნის განმავლობაში წელშიც მოიხარა დე-
დაბერივით; დარღმა, მწუხარებამ და გაჭირვებამ დაასვა თავისი
დალი.

მოხუც თედზედაც სასტიკად იმოქმედა მისი მარჩენელი შვი-
ლის, ოჯახის ბურჯისა და მტერ-მოყვრის პასუხის გამცემის მოშო-

რებამ; ღრმა მოხუცებულობის გამო და აუტანელი შრომით წელში
გატეხილი ლოგინათ ჩავარდა და ერთი კვირის ავადმყოფობის შემ-
დეგ მისი დამტირებლის უნახავად დალია სული.

მანამდე სასიხარულო მბუჭტავი სხივი კიდევ ჩანათებდა ხოლმე
მელანიას არსებაში და მამამთილის სიკვდილს შემდეგ კი მთლად
დაეკარგა იმედი, აღარსაიდან არ მოელოდა ხსნას.

ან რილას დახმარება უნდა შესძლებოდა უკვი დაკუთმებულ მო-
ხუც თედეს, მაგრამ მისი ოჯახში ყოფნარაღაც ნუგეშის ნაპერწკლად
ჰქონდა წარმოდგენილი გამოუცდელ, ახალგაზდა მელანიას და ეს
ნაპერწკალიც ჩაუჭრა; ესეც შეშურდა მელანიას გაპარტახებულ ოჯა-
ხისთვის მოწყალე ღმერთას.


სასტიკმა და უღმობელმა ბედმა ეს უკანასკნელი იმედიც და-
უმსხვრია.

სამარისებური მყუდროება-ღა გამეფდა მელანიას ოჯახში: არა-
ვითარი ხმაურობა, უწინდელი სიცილ-კისკისი მელანიასი არ ისმო-
და, არავითარ სიხარულს აღარ ჰქონდა იქ ადვილი; სულიერი და
უსულიო—ყველაფერი მგლოვიარებდა ყველა შავის ძაძით მოსილ მღუ-
მარებას მისცემოდა: მისი ეზოს, კალო-მიდამოს დამამშვენიებელი ჰან-
დარი, რომელიც წინად ოდნავ სიოზეც სასიამოდ აშრიალებდა და
ყველას გულს ეფინებოდა, მწარე ფიქრებს მისცემოდა, უსანდომოდ
დაეშვა ფოთლები და სულსა და გულში ჩაქსოვოდა პატრონის არ-
სებას, იზიარებდა მის სასოწარკვეთილებას.


აღარც სოფლის გოგო-ბიჭების ჩვეულებრივი ხარხარი და ქრი-
ამული ისმოდა ჰანდარის ჩრდილ ქვეშ, ეს რამდენიმე ხანია იმათაც
იკვალეს ბინა...

ნაცრის ფერი „მურია“, რომლის ერთი შეყეფაც შიშის ზარსა
სცემდა ზამთრის ღამეში სოფლად შემოპარულ მგელსა და ტურა-
მელას, რომლის შიშითაც ას ნაბიჯზე ახლოს ვერ მიეკარებოდნენ
მელანიას ოჯახს მტერი და დუშმანი, „მურია“, რომელიც მკისა, და
თიღვის დროს, ტყეში შეშაზე მიმავალ მიხას ხტუნვითა და ყეფვა-

მისი უგაღესოების დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის ჩამოსვლა ტფილისში



დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე
სიონისკენ მიემართება (თეთრ ცხენზე ზის).



დიდი მთავარი ვახტანგ ნიკოლოზის ძე
(თეთრ ცხენზე ზის).

ლაქუტით აცილებდა, ისიც მიკუნჭულა კიბის ქვეშ კუთხეში, კუდი ამოუძებია, თავი უკანა ფეხებში ჩაუთფუნებია და გულსაკლავად წკმუტუნებს; ეტყობა ისიც მიმხვდარა ქვეყნის უკუღმართობას, მასაც ღრმად ჩასწვდენია გულში პატრონის უბედურება და თვისი წკმუტუნით თითქოს ეუბნება: „ნუ გეშინიან, მეც შენთანა ვარ, შენი ქონების ერთგული დარაჯიო“...

მთელი დღის შრომით დაქანცული მელანია მოწყვეტილი მიეშვა ლოგინზე, მაგრამ დიდხანს არ დასძინებია; სულის სიმშვიდე დაუკარგეს, მოსვენებას არ აძლევენ მწარე ფიქრები.

თითქო ბუნებაც მის მტრებს შეუთანხმდა-შეუკავშირდა: ხან ერთი მხრიდან შემოუჭროლებდა მის ნახევრად დაფუტუროვებულ „ორჩოფებზე“ მდგარ ხის სახლს გაათფრებულ-გაშმაგებული გრიგალი და ხან მეორედან; ფაფარ აყრილი ლომივით ეტაკებოდა და ალგვას უპირებდა დედამიწის ზურგიდან სახლსა და მის პატრონსაც...

დიდხანს არ გაუვლია და წარღვნისებური წვიმა მოხეტქა ზეცამ; ქარისა და წვიმის შერეულ ზუზუნში ყურებში ჩასწიოდნენ მელანიას ქმრის უკანასკნელი წერილის უკანასკნელი სიტყვები: „არ დამიჩაგრო, მტერს არ დააბრიყვებინო ჩემი პატარა ბიჭიკო“...

გაფითრდა მელანია ამის მოგონებაზე, შიშმა მოიცვა, მთელი სხეულით აცახცახდა და მაგრად ჩაიკრა გულში მძინარე ოთხი-ხუთი წლის „პატარა ბიჭიკო“, ერთად-ერთი ამ ქვეყნად დარჩენილი იმედი და ნუგეში.

გულდათუთქული და დამწვარი დედა კარგა ხანს დაჰკვითინებდა და ცხარე ცრემლს აფრქვევდა პაწიას:

— ჩემო, სასო ღვთისმშობელო, შენ ეყავ შემწე და მფარველი ჩემი ბიჭიკოსა და მამა მისი... შენ მაღირსე ორივეს ხელით მიწის დაყრა,— პაწია ერთს გაიზმორა ლოგინში, შეიშმუნა, დაიკრუსუნა კიდეც, მაგრამ გაღვიძებით კი არ გამოუღვიძნია.

ქარიშხალი კი ისევ ზუოდა გარედ, ნიშნს უგდებდა მელანიას ლოცვა-ვედრებას...

მელანიას ბავშვით გულში ჩაკრულს მიეძინა. საშინელი რამ ესიზმრა: „სადღაც უცნობ მხარესა, უცნობ ქვეყანაში, ელვასავით სრიალებს ჰაერში თოფის ტყვია, ერთი, ორი, ათასი, თვლა არა აქვს; მეორე მხარეს მეხივით დაეკემა ცეცხლის ალი, უცებ იგრილებს, გააყრუებს იჭაურობას, კვამლით მოიცავს, ჩააბნელებს ყველაფერს და როცა გადიწმინდება, უთვალავი ხალხი რჩება მიწაზე ხელფეხ მოგლეჯილი, ტანი უთავოდ, დამახინჯებულ-დასახირებულნი. „აი თურმე რა ყოფილა ომი; ერთ წუთას იხოცება აუარებელი ხალხი; რომელთაც მის სიციცხლეში არ უნახავთ ერთმანეთი, არ იცნობენ, ასე შეუბრალებლად უსპობენ ერთმანეთს სიციცხლეს, ასალმებენ წუთისოფელს; რა მტრობა აქვთ, რის შურს იძიებენ“, ფიქრობს მელანია და ვერ მიმხვდარა; მიუწოდომელია მისი გონებისა და აზროვნებისთვის ყველა ეს. გრძნეულივით დაფრინავს მელანია ამ სიკვდილის სამფლობელოში და თვითონაც უკვირს, რომ უვნებელი რჩება... მიხას ეძებს... აგერ ნახა კიდეც ერთ ხეს ამოფარებული, თოფი მოუმარჯვებია და ნიშანში იღებს ვილასაც; თვალებს არ უჯერებს, რომ მიხა, რომელსაც სახლში ქათმის დაკვლაც კი აღწეოთებდა, მთელი თავისი არსებით ჰგმობდა და სძრახავდა კაცის



დიდი მთავრების მუღლენი ანახტასია და მილიცა ნიკოლოზის ასული.



დიდი მთავრის ვახტანგ ნიკოლოზის ძის ძაღვი.



პრაპ. დეო კვალიაშვილი
(დაქრილ. და ტყვედაა წაყვანილი).

პრაპ. ვლად. მირიანაშვილი
(დაქრილია).

პრაპ. ისიდორე ხურციძე
(დაქრილია).

ალექსანდრე მაჩაბელი
(დაქრილია).

მკვლელთ, ის მიხა აქ აღმამანსა სწირავს თვითონ, სიცოცხლეს ართ-
შეგს; უნდა ხელი სტაცოს მელანიამ, მოაშოროს იქაურობას, წამოი-
ყვანოს, მაგრამ ამ დროს საიდნაღაც გაჩნდება და წინ ეღობება მას
თეთრ წვერა მოხუცი თედე, აკავებს... მელანია სცდილობს ჩამოი-
შოროს მოხუცი, სწვდება მხრებში, მაგრამ ამაოდ, ადგილიდან ვერ
დასძრავს...

გამოეღვიძა მელანიას.
ქარი უკვე ჩამდგარიყო...

მზემაც ამოანათა და ზღაზენით მოსრიალე ღრუბლებმა ზან-
ტად იწყეს აქეთ-იქით ფანტვა; ბავშვით გაავზნებული მზე ხან სად
გამოაკრთოლებს თვის სხივთა ხომლს და ხან სად, თითქოს რაიმე
დანაშაული ჩაუდენია, სცხვენინან და ემალება ვისმეო.

მელანიამ გადახედა მძინარე ბავშვს, რომელსაც ოდნავი ღიმი-
ლი უკრთოდა უმანკო სახეზე...

ვინ იცის, რას ფიქრობდნენ მაშინ პაწიას ჯერ კიდევ შეუბ-
ღალავი სული და გული, რასა გრძნობდა იმ დროს მისი სპეტაკი
არსება; ძნელი წარმოსადგენია, რა სანეტარო სიზმრებით იყო გარ-
თული ჯერ კიდევ თანამედროვე ცხოვრების საშინელებათაგან გა-
რეშე მყოფი პატარა; მას არ განუცდია ჯერ ცხოვრების მუხრუჭე-
ბი, უცხო ხილია მისთვის ყველა ეს და იღიმება, იშვებს სანეტარო
სიზმრებით დამთვრალი.

მელანიასთვისაც საიდუმლოებით მოცული იქნებოდა ბავშვის
ღიმილის მიზეზი, რომ არ წამოეძახნა მძინარეს.

„მამილო, მამიკონა, ბულთი, ცემი ბულთი... ცქენი ლატომ აღ
მომიკვანე“?..

მელანიას მეტიც აღარ უნდოდა, დაგუბებულმა გრძნობამ იფეთ-
ქა მასში და ცრემლის ნაკადად გადმოინთქა. თვალეზ დაბრიალებუ-

ლი, შეშლილივით ეცა „მამის პატარა ბიჭიკოს“ და ჩაჰკონა გრძნო-
ბით, ჰკონა დიდხანს.

ბავშვს გამოეღვიძა მშობლის ხევენა-ალურსზე და ისევე თვალ-
დახუჭული კისერზე მოეხვია მელანიას და დაუწყო კონა და ტიკ-
ტიკი.

— ბულთი აღ დამიმალო, ცემო დედიკონა, ლა იქნა, აკი აქ
იყო?..— დაიწყო აქეთ-იქით ხელების ფათური და შემდეგ დედას შე-
ეკითხა: —მამა ლალა იქნა, აკი ბულთი მომიტანა?

მელანიას პასუხის მიცემა უნდოდა, მაგრამ ვერ შესძლო: სული
შეეხუთა, გული ყელში მოეჭინა.

— მელანო, ქალო მელანო, გამოიხედე გარედ,— მოისმა ხმა.
უცებ გამოერკვია მელანო ფიქრებიდან, სწრაფად გადიცვა
ტანთ და ეზოში გამოვიდა.

— შენა ქალიავ?— შეეკითხა მელანია ღობეზე მომდგარ მეზო-
ბელს,— რა აბავი მომიტანე, შენი მუხლების ქირიმე?

ქალიას ქმარი სოფლის გზირად იყო და თუ რამ ამბავი მოვი-
დოდა სასოფლო კანცელარიაში ისიც შეიტყობდა, ამიტომ სთხოვა
მელანიამ, საჩქაროდ მაცნობე, თუ გაიგებთ რასმე მიხას ამბავსაო.

— წუხელის მოსულა ი რალაც „სპისოკია“,— განაგრძო ქალი-
ამ,— მაგრამ ვერა გაუგია—რა ჩემ კაცს... შენ ხომ ცვი, რუსული არ
იცის? მიხა კი წერებულა იმ „სპისოკია“, მაგრამ ვერ შეუტყვია,
რა დაემართა. წადი, ქალო, მწერალთან და ის ყველაფერს გეტყვის.

მწერლიდან დაბრუნებულ მელანიას ძლივს აკავებდნენ თაგ-
მოყრილი მეზობლის ქალები: საშინელი, გულსაკლავი ტირილი და
მოთქმა-გოდება ისმოდა მელანიასი.

„მამის პატარა ბიჭიკო“ კი გაშტერებული შესცქერადა თმა
გაშლილ დედასა და დაღვრემილს მეზობლებს.

გ. მუმლაძე.

ტიციანო

1480 *)—1576 წ.
ფურცლები.

„სანამ იცოცხლე, გოგოთურ, სანამ ცასა სდის ნამია, სანამ
შე ათბობს ქვეყანას, დილა-სალამოს ჟამია; სანამ ტყეს ესხმის ფო-
თოლი, მიწა ამცენებს მწვანილსა, სანამ კინუკველა ქალაქით ზურ-
ვით მოიტანს მარილსა!“—ჰლოცავს აფშინა გოგოთურს ვაჟას პოე-
მაში „გოგოთურ და აფშინა“, და სწორედ ასე უნდა ყოფილიყო,



„მაგდალინა“, ნახტი ტიციანოსი.

სჩანს, დალოცვილი ვენეციელ სკოლის მეთაური, უდიდესი მსოფ-
ლიო ტიტან—მხატვართაგანი—ვეჩელიოც, უფრო ციობილი ტიცია-
ნოს სახელით; უკანასკნელმა გაატარა წუთის სოფელში 96 წელი და
გაატარებდა მეტსაც, ჭარს რომ არ ემსხვერპლა მისი ძვირფასი სი-
ცოცხლე.

თვით ზღაპრულ ვენეციაში როდი დაიბადა ტიციანო, არც მე-
ზობელ ბარში, მისი აკვანი რწეულა შორეულ მზის მწვერვალებზე;
ბავშვობა და ყრმობა გაუტარებია მკაცრ ფიქვენარსა და ძლიერ აღ-
პების ფერდობების შუა; მის გოლიათურ გულ-მკერდს შეუსუნთქვია



„კიხისის დინარი“, ნახტი ტიციანოსი.

*) კაზარის მოწმობით.

არა თუ ქალაქის შეხუთული, არამედ მთის სუსხიანი ჰაერი; მის არწივისებურ სახეზე უთამაშნია არა თუ ქალაქის კლექ მზეს, არამედ მთისას, და დაუწყია იგი ბრინჯაოს ფერად. სწორედ ამ გვარ დაღვრემილ მთებიდან, რომლებსაც, რაფიელ ერისთავის ხევისურით, არ გასცვლიდა „ბარში დიდებაზე, უთვალავ ქონებაზე, სასახლეზე ოქროს ტახტითა“, ტიციანო სტიქიურ ძვალ-რბილში გამჯდარ სამშობლოსადმი ტრფიალით დაეშვა ბრწყინვალე ვენეციაში. მაგრამ ქალაქში ნახულ სასწაულს როდი დააბრმავებინა თვალი: იგი მზად იყო აქაც, ბარში ჩამოსულ ხევისურით, წყენისათვის, ზნე-ჩვეულების მიხედვით, ეშიშვლა ხმალი, წინ წაეყენებინა ფარი და გაეწვია შეურაცხყოფელი ღვთის სამართალში.

როგორც თითქმის ყველა ხელოვანმა, ტიციანომაც გაიარა ის დრო, როდესაც იგი თავის თავად არ იყო: იგრძნო თუ არა მხატვრობის სურვილი, მიებარა შეგირდად ბელლინის და მიჰყვა ჯერ მის გემოვნებას; შემდეგ ჰბადა ღვთიურ ლეონარდოს ყალამს; გატაცებულმა უფროს ამხანაგის ჯორჯონეს კოლორიტის ძალით ახლა სდია მის მიმართულებას; და ბოლოს, როდესაც შეითვისა სავსებით ფანდები, რომელნიც გამოგონილ იქმნა წინასწარ დიდებულ ხელოვანთა მიერ, გამოიყენა ნაანდერძევი თავის მიზნებისათვის და ოცნებებისათვის სრულიად და დამოუკიდებლად; ეს მიზნები და ოცნებები კი ტიციანოს სულში შეადგენდნენ უღვეველ სიმდიდრეს.

თუ რაფაელის შესახებ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ არც ერთი მხარე მისი შემოქმედებისა არ არის მიყვანილი უმაღლეს მწვერვალამდის, სამაგიეროდ ტიციანომ, ექვს გარეშეა, დაგვიტოვა მხატვრობის ყველა დარგში ნიმუშები გადაუსვლელ სიმაღლისა.

ჯონ ლებოკის აზრით, კაცობრიობისათვის განათლება საჭიროა, სხვათა შორის, მისთვის, რათა გადასწყვიტოს სამი უდიდესი კითხვა ჩვენის ცხოვრებისა: სამართლიანია ესა თუ უსამართლოა; ჭეშმარიტია თუ ტყუილია; ლამაზია თუ უმსგავსია? ტიციანომ მთელი თავისი საუკუნოებითი სიცოცხლე ამ უკანასკნელ კითხვას შესწირა, შეჭქმნა და გვიანდერძა დიდძალი რელიგიური სურათი, მითოლოგიური და ისტორიული კომპოზიცია, პორტრეტი და პეიზაჟი, რომლებსაც ჩააქსოვა მრავალფეროვანი გრძნობები: ხან სასტიკი და მხურვალე, ხან ნაზი და სიცოცხლით სავსე, თუმცა პირველ დროის ნამუშავარს ეტყობა გაუბედავ ყალმის კვალი, მაინც ეს სამკვიდრებელი ნამეტან ძვირფას განძს წარმოადგენს, რადგან უკანასკნელ სურათების გაბედულობით გაეკავფა გზა ველასკეს და საფრანგეთის თანამედროვე მხატვრებს.

ტიციანოს დიდება იწყობა 1508 წლიდან, როდესაც სრულიად მომწიფებული და დამოუკიდებელი ხელოვანი ჰქმნის სურათს, ცნობილს ახლა „კეისრის დინარის“ სახელით (დრეზდენის ტალანი). საერთოდ, მისი საეკლესიო სურათები განსაკუთრებულია ელლინიზმით, ესე იგი ზომიერებით, კეთილშობილობით, სიმცხინვარით, შილლერის განმარტებით, და ამიტომაც გვიღვიძებენ ფიქრს „არა თუ ბინდით მოცულ ქრისტიანულ საკრებულოთა საკმლის ბოლიან სურნელოვანობაზე, არამედ ლაყვარდ ზღვათა ხმაურობაზე, პესტუმის ტაძართა მკაცრ მედიდურობაზე“. „კეისრის დინარში“ გადაწყვეტილია რთული ფსიხოლოგიური ამოცანა გასაოცარ გამომეტყველებით: ქრისტეს თვალეში გამოისახება სიმშვიდე და მყუდროება, ფარისეველი კი ჩინის ცბიერებითაა აღჭურვილი; შეჭყურებ ძეს ღვთისას და გრძნობ, რომ თვალეში, მისი შიგ გულის სიღრმეში გწვდებიან და ჰკითხულობენ შენს თვით აზრების მოძრაობასაც კი.

მხურვალე სიყვარულს სიცოცხლისადმი, მოძრაობისადმი და ლამაზ ბუნებისადმი ტიციანომ არ უღალატა სახარების ქალ-გმირთა გამოხატვაშიც, მისი „მაგდალინელა“ იგივე ვენერაა, მხოლოდ გულის ტანჯვათა აღ-მოდებული. ტიციანო არ ასხამდა ქებას არც გაზაფხულს, არც ზამთარს. უსაყვარლესი დრო ხელოვანისა ზაფხულია და უფრო შემოდგომა მრავალფეროვანი, ხოლო არა ქალწული, ადამიანის ხანაში კი სიმწიფე. ასეთია „მაგდალინელაც“: უდაბნოს ვერ გაუხმია მისი სრული ფორმები, ვერ დაუქქნია მისი სილამაზის ჯერ ისევე საკმაოდ გასაფურჩქნელი კოკორი.

1540-იან წლებიდან ტიციანო უფრო და უფრო უთმობს თავის სურათებში ადამიანის ნაკვთს, ხოლო ეხლაც უკანასკნელს არ უჭირავს განსაკუთრებული ადგილი, რადგან პეიზაჟი მათში უბრალო დეკორაციას არ წარმოადგენს. ასე, „მაგდალინელის“ პეიზაჟი იმდენად ყურადსაღებია თავისი გულწრფელობით, ფერადობით, სიმართლით, რომ არ იცია, რას სახავდა ხელოვანი: ალაღმას თუ პეი-


ზაქს? ცხადია, „მაგდალინელას“ წუხილი მხურვალე თანაგრძნობას უღვიძებს მნახველს, მაგრამ არა ნაკლებ თანაგრძნობას იწვევს კლექი ხე, ერთად-ერთი მცენარე, რომლითაც განცხოველებულია უდაბნო.

ტიციანოს ასახელებენ, როგორც რემბრანდტის წინამორბედს და არა სცდებიან, თუ ვიგულისხმებთ ხელოვანის პორტრეტებს და ფერადების ეფექტებს. დასამტკიცებლად ამისა საკმარისია დავასახელოთ პაპის პავლე III ფარნეზეს სურათი, რომელიც ახასიათებს ცბიერ, ღონე-მიხდილ, ანგარ მღვდელ-მთავრის ცხოვრებას მდაბიოდ, გაბედულად და შეუხამებლად. რაიცა შეეხება ფერადების ეფექტებს; იგინი თავისუფლების, სიფართოვის, ფანდების სითამამისა და ზეგარდმო ნიქის გაუწელებელ სიფიცხის ნაყოფია. ტიციანოს სურათების მხატვრულ ხასიათის სილამაზე შეადგენს მის ძირითად თვისებას ისევე, როგორც რითმი და ზომიერება რაფაელისას, რომლის სინარნარე და სინაზე ვენეციელ ხელოვანის ნიქმა ბედნიერად შეუთვისა მიქელ ანჯელოს სიდიადეს და სიმძლავრესა.

„ხელოვნებაში“, სწერს ჯონ სტ. მილლი, „უნაკლულობა თვით მიზანია. რომ მესაჭიროებდეს ხელოვნების განსაზღვრება, მექნებოდა წადილი მეწოდებინა მისთვის მისწრაფება უნაკლულობისადმი შესრულებაში“. თუ ეს უტყუარია, ტიციანო პირველი ქურუმიია ხელოვნებისა, და უზომო ღვაწლი მიუძღვის კაცობრიობის კულტურულ განვითარებაში, რადგან ხელოვნურ ნაწარმოებთა კეთილშეყოფელი გავლენა ყველას მიერ აღსარებულია, „უტყუარი ხელოვნება კი“, მიქელ ანჯელოს სიტყვით, „კეთილშობილი და კეთილმსახურია“.

დავ. კილოხანიძე.

ჩვენი ნაცნობები



სანდრო შანუიასვილი.